ᲙᲕᲘᲠᲐ, 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1915 Წ. ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐ�პ.

— რით არის სავსე თანამედროვე მკითხველის თავი.

„საქართველოს“ „გმირები“

დ. კახელის მეოხებით „საქართველოს“ რედაქციაში ჩვენი მამულის უწარჩინებულესი გმირები მოგროვდენ და თანაც დროს შესაფერი სამხედრო დისციპლინა დამყარდა.

— აბაააა, დაააა �o წყეთ!

გასძახა დ. კახელმა და მთელი შვიდეული გმირებისა ერთ კაცსავით დაემხო ახლად შეძენილ სატახტო გაზეთის ფურცლებზე დეპ. კარლო ჩხეიძის სიტყვას.

— გაბაშვილო! შენ ს-ანზე ეძებე, იქნებ საქართველო იყოს ნახმარი.

— მესმის, ბატონო!

— ბორჩალოელო! შენ ი—ნზე დასძებნე იქნებ „ივერია“ ეწეროს, გახსოვდეთ, რომ ესეც ჩვენი სამშობლოს სახელია.

— მესმის, ბატონო!

— კასრაძეე! შენ გ-ანზე აავლ-ჩაავლე თვალი. ვინ იცის იქნებ „გრუზია“ იყოს ხმარებული.

— განზე სად იქნება, ბატონო. აქ სხვა წერილებია!

— „ვარსკლავის მომიჯნავე“ ქალაქში მოგზაურობას თავისი კვალი დაუსომს შენთვის, ჩვენო სიამაყევ! დაუფიქრდი ჩემს ბრძანებას.

— მესმის, ბატონო.

— ამირეჯიბო! შენც გ—ანს დააკვირდი, იქნებ „გურჯისტანს“ გადაეყარო. ესეც ჩვენი მამულია.

— მესმის, ბატონო.

— შენ ქ—ედია! შენც გ—ანს მიაქციე ყურადღება, ვინ იცის, იქნებ „გეორგია“ იყოს ნახმარი.

— მესმის ბატონო.

— ჩხირიიი წინ!

გმირებმა სპიჩკის ღერები ისეთის სისწრაფითა და მოხდენილობით გავლ-გამოავლეს შავ რაზმებათ დაწყობილ ჰწკარებს, რომ გულს სიამე მოეფინა და ჩემს თვალწინ აღსდგა საომრად დარაზმულ ჩვენ წინაპართა გააფთრებული იერიშის არჩდილი.

— სჩანს ჯერ კიდევ არ მოდუნებულა ქართველის მარჯვენი მეთქ, განვივლე გულში..

ისინი, გმირები, კი სტრიქონს სტრიქონზე აწვენდენ, მუსრავდენ და ჰკაფავდენ. მხოლოდ აქაიქ თუ შეჩერდებოდა მათ ხელში მოელვარე სპიჩკის ღეროები.

— ღალატია!

მრისხანეთ დასჭექა რევაზო გაბაშვილმა, რომელიც სხვებზე ხელ-მალი და მეტი ტემპერამენტის პატრონი აღმოჩნდა.

ის პირველი გაიჭრა წერილის ბოლოში და ს-ანზე საქართველო ვერსად აღმოაჩინა.

— გაგვყიდეს!

დასჭყივლა მ. ბორჩალოელმა. ივერიის ხსენებაც არსადა სჩანს.

— მამულს ყელი გამოსჭრეს!

საზარელი ხმით დაგრგვინა დ. კასრაძემ.

და ასე ერთი მეორის მოყოლით გაისმოდა დარბაზში გულის შემზარავი და გრმნობათა აღმგზნები ყივილი გმირებისა. აღელვება იმ ზომამდე ავიდა, რომ მოსალოდნელი იყო სპიჩკის ღეროებით აღჭურვილთა ქუჩაში გამოჭრა და რომელიმე ს. დემოკრატისათვის დედის შეგინება.

ღმერთმა უშველოს ისევ დ. კახელს და მის რკინის დისციპლინას.

— სიიი-წყნაააა-რეეეე!

დასჭყივლა მან და დარბაზში კვლავ სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

— მეგობრებო! განაგრძო დ. კახელმა,—ჩვენს ღირსებას არ შეეფერება ლაჩრული დუმილი. საჭიროა დეპეშა.

— აი ბატონო!

— აი ბატონო!

— აი ბატონო!

გაისმა დარბაზში და ყველამ ელვის სისწრაფით ამოიღო ჯიბიდან საპროტესტო დეპეშის დედანი.

— რევაზ გაბაშვილო! თქვენ პირველმა ამოიღეთ ქაღალდი, წაიკითხეთ.

რევაზ გაბაშვილი კითხულობს:

— ჩვენ აღშფოთებულნი (წაშლილია) ჩვენ საშინლად გაბრაზებულნი (კიდევ წაშლილია) უზომოდ აღშფოთებულნი და ბრაზმოსულნი (ესეც ხაზგადასმულია) აღნაშფოთარნი და აღნაბრაზებნი თქვენის. (წაშლილია) გულ განრისხებულნი ზიზღით. (გადაშლილია) უკიდურეს მწვერვალამდე გააფთრებულნი თქვენი აღსაშფოთებელი... (წაშლილია) საქართველოს სახელით აღშფოთებულნი და გულ-განრისხებულნი ჩვენ ლაჩრული... (წაშლილია).

— მშვენიერია! მეგობრებო, საჭიროა ვიცოდეთ მზადა ვართ მოსალოდნელი გამოსვლებისათვის, თუ გვჭირია კიდევ სამზადისი. რუსეთ-გერ-

მანიის ომმა ყველასათვის თვალსაჩინო გაჰხადა, თუმცა მე ეს უწინაც ვიცოდი, თუ წინასწარ მომზადებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს. გმირობასა და გაბედულებას ჩვენ თვით ბრძოლის ღმერთიც ვერ დაგვიწუნებს, მაგრამ მზადებ ამაინც საჭიროა. მეგობარო რევაზ! იარაღი ბევრი გვაქვს.

— ხუთი რევოლვერი უკვე **გავთალე** ბატონო ჩემო; სამს კიდევა ვთლი. ეს ოხერი ჯოხები გაძვირდა, თორემ ამდენ ხანს ერთი დუჟინი მაინც მექნებოდა მზათა.

— ჩინებულია! კავალერიის საქმე როგორ არის მეგობარო დავით კასრაძევ!

— საუცხოოთ, ჩვენო სიამაყევ! ამ წინაზე ქიზიყში გეახელი, სადაც ფარული მოლაპარაკება მქონდა „ვირუკეებთან“. შვიდი ცალი უკვე დავიკვეთე ჩვენთვის და ერთ-ორს ბარგისათვისაც ვიშოვნით. გარდა იმისა, რომ ეს ცხოველები მომთმენი და ჯიუტნი არიან, მათი სიმღერაც ჩვენთვის სმენის მომხიბლავი და მტერთათვის თავზარდამცემია.

— გმადლობ საქართველოს სახელით ღირსეულო მამულიშვილო. ვხედავ ყველაფერი მზათ ყოფილა, მხოლოდ ჯარი არა გვყავს. მაგრამ გმირთათვის ჯარი რა საჭიროა გასული წლების ტრადიცია თავდებია ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებისა. აწ საჭიროა დავიშალოთ. იარაღით ქუჩაში ნუ გამოხვალთ! წიიინ წა!

ყველამ იქვე საფერფელზე დააწყო თავ-თავისი საჭურველი და მზათ იყვნენ ქუჩაში გამოსასვლელათ, რომ დ. კახელმა მოულოდნელათ იკითხა:

— რევაზ **გაბაშვილო**! რა ეწერა ჩხეიძის სიტყვაში!

— არ ვიცი, ბატონო! მე მხოლოდ ს-ნს ვეძებდი.

— მე **ი**-ნს ვეძებდი!

— მე **გ**-ანს ვეძებდი!

— მეც **გ**-ანს ვეძებდი!

ეშმაკი.



ცხენს ვიცნობ, ქვას ვიცნობ, კაცს ვიცნობ.

(ოსმალური ლეგენდა)

იმ დროს, როდესაც ოსმალოებმა ფეხი მოიკიდეს ევროპის ტერიტორიაზე, ამაყსა და ძლიერ სულთანს მოახსენეს, რომ, ერთი კაცი დადის სტამბულის ქუჩებში და გაიძახის: „კაცს ვიცნობ, ცხენს ვიცნობ და ქვას ვიცნობო. ასე დილიდან საღამომდის დადის და ერთს და იმავეს გაიძახისო. სულთანმა ბრძანება გასცა ის კაცი მასთან მოეყვანათ. რამოდენიმე წუთის შემდეგ, სულთანის წინაშე იდგა შუა ხნის, ახოვანი, მოხდენილი კაცი და თავდხრილი სალამს აძლევდა.

— სადაური ხარ? ჰკითხა სულთანმა.

-- ყარიბი გახლავარ. უპასუხა უცნობმა და წელში გაიმართა.

— მე გავიგე, რომ შენ ქუჩებში გაიძახი:— კაცს ვიცნობ, ცხენს ვიცნობ, და ქვას ვიცნობო. მართალია ეს?

— მართალი გახლავთ დიდო ხელმწიფევ! კაცს ვიცნობ, ცხენს ვიცნობ და ქვას ვიცნობ, მოახსენა ყარიბმა და სულთანს უფრო გაბედულათ შეხედა.

— მაშ თუ ასეა გამოიცანი ჩემი ცხენი რა ჯიშის არის. მხოლოდ კარგათ დაფიქრდი უბედურო, თორემ თუ შესცდი, იმ წუთში თავს მოვაჭრევინებ, უბრძანა სულთანმა და ყარიბი ეზოში ჩაიყვანა, სადაც იმისი საუკეთესო მერანი გამოეყვანათ. ყარიბმა ცხენი აათვალ-ჩაათვალიერა, გავაზე ხელი გადაუსვა და სულთანს მოახსენა:

— დიდო ხელმწიფევ, ეს ცენი საუკეთესოა ყველა ცხენებში, მაგრამ... კამეჩის ჯიშისა არის და მიიყვან თუ არა წყალზე მაშინვე შიგ ჩაწვება.

სულთანი ცნობის მოყვარეობამ გაიტაცა, ცხენი შეაკაზმვინა, შეაჯდა და მახლობელ წყალში ჩაიყვანა. შევიდა თუ-არა ცხენი წყალში, მაშინვე შიგ ჩაწვა. სულთანი ახლა დარწმუნდა ყარიბის სიმართლეში და ბრძანება გასცა: მისთვის ბინა მიეცათ და დღეში ერთი ხელი საჭმელი და ერთი პური ეძლიათ. შემდეგ მიუბრუნდა ყარიბს და უბრძანა.

— ახლა აბა ეს ქვა გამოიცანი, რა ქვაა, ან რა ღირსებისაა, და მტრედის კვერცხის ოდენა გა-

თლილი ბრილიანტი მაგიდაზე დაუდო. ყარიბმა ქვა ხელში აიღო კარგად დაათვალიერა და სულთანს მოახსენა.

— დიდო ხელმწიფევ, ეს ქვა როგორც ხედავთ საკეთესო ბრილიანტი არის და მასთან ისეთი ხელოვნებით არის ნათალი, რომ ფასიც არ დაედება, მაგრამ... ყველა ეს გარეგნულია, შიგნით კი უბრალო, შავი ქვა სძევს და ბრილიანტი მხოლოთ გარშემო ასხია. ამ სიტყვებმა სულთანი მეტათ განარისხა.

— რას ამბობ ყარიბო, ეს ქვა მე ეგვიპტის სულთანისაგან მაქვს ნაჩუქარი და ყალბი როგორ იქნება. მე მაგ ქვას ეხლავე გავსტეხ და თუ შენი სიტყვები ყალბი გამოდგა, ჩემი ხელით მოგკვეთ მაგ ცოდვილ თავს.

— თქვენი ხმალი, ჩემი კისერი, მიუგო ყარიბმა და არხეინათ დააცქერდა სულთანს, როდესაც ეს უკანასკნელი ძვირფას ბრილიანტს ამტვრევდა. სულთანის განცვიფრებას საზღვარი აღარ ქონდა, როდესაც ბრილიანტიდან უბრალო შავი ქვა გამოვარდა.

— შენ მართალი გითქვამს ყარიბო, ბრძანა სულთანმა, და ასეთი გამოცნობისათვის მე, შენ გინიშნავ დღეში ორჯერ საჭმელს და ორ პურს. ყარიბმა მადლობა გადაუხადა და წასვლა დააპირა, რომ სულთანმა ხელით ანიშნა დარჩენილიყო. ყარიბი შესდგა და სულთანს თვალებში ჩააცქერდა.

— კიდევ რას მიბრძანებთ დიდო ხელმწიფევ.

— შენ ცხენი და ქვა გამოიცანი, ახლა ისიც უნდა გამოიცნო თუ მე რა კაცი ვარ.

— დიდო მბრძანებელო, მაგის გამოცნობა ჩემთვის ადვილია, მაგრამ თქმა კი ძნელი.

— რისთვის? მრისხანებით შეეკითხა სულანი და ყარიბს თვალებში ჩააცქერდა.

— თქვენი განრისხების მეშინია მბრძანებელო.

— სთქვი, ნუ გეშინია მე ცუდს არ გაკადრებ.

— პატიოსანს სიტყვას ვითხოვ რომ არ დამსჯით?

— გაძლევ, უბრძანა სულთანმა და ცნობის მოყვარეობამ უფრო ააღელვა.

— მაშ დამიფიცეთ დიდებულო, მოკრძალებით წარმოსთქვა ყარიბმა და სულთანს მიაშტერდა. სულთანი ისე იყო საკუთარ ფიქრებში გართული რომ აღარც-კი ესმოდა ყარიბის სიტყვები. ის იგონებდა თავის წარსულს და ანგარიშობდა. თუ რა ჩაუდენია მას ისეთი სამძიმო, რომ ყარიბს იმის თქმისათვის ფიცის ჩამორთმევა დასჭირდა, მაგრამ, მან ასეთი ვერაფერი ვერ იპოვა თავის განლილ ცხოვრებაში.

— ვფიცავ ალაჰს! თითქმის ინსტიქტიურათ წამოიძახა მან და ყარიბს გულის-ძგერით მიაჩერდა.

— დიდო ხელმწიფევ, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ მეტად გულკეთილი და მართალი კაცი ბრძანდებით, მაგრამ...

— სთქვი, სთქვი!

— მაგრამ თქვენ მეფურნის შვილი ხართ.

— რა სთქვი სულელო! როგორ გაბედე მაგის თქმა, წამოიძახა სულთანმა და ყირიბისკენ წაიწია, მაგრამ ისევ შესდგა და თავდახრილი ჩაფიქრდა.

— მე მაგას გამოვიძიებ და თუ შენი სიტყვები არ გამართლდა სასტიკათ დაგსჯი.

— დიდო ხელმწიფევ, ეს ხომ ძნელი გამოსაკვლევია აბა ვის უნდა ჰკითხოთ, რომ მართალი გითხრას.

— დედას. უპასუხა სულთანმა და სახეზე მოწყენა დაეტყო.

— ვაი თუ დედა თქვენის სირცხვილის დაფარვის მსხვერპლი გავხდე.

— არა, ფიქრი ნუ გაქვს, სიმართლეს აღვადგენ. ბრძანა სულთანმა და თავის კაბინეტში გავიდა.

ორი დღის შემდეგ ყარიბი კვლავ იდგა სულთანის წინ და გულის ფანცქალით მოელოდა მის ბრძანებას.

— შენი სიტყვა გამართლდა ყარიბო. მე ქეშმარიტად მეფურნის შვილი ვყოფილვარ. რაკი მამაჩემი უშვილოთ მოხუცებულა, "რომ ტახტი უმემკვიდროთ არ დარჩენილიყო დედა-ჩემი საახლის მეფურნეს დაახლოვებია და მეც იმისი შვილი ვყოფილვარ. მაგრამ ეს უნდა გამაგებინო, როგორ გამოიცანი შენ ის თუ მე მეფურნის შვილი ვიყავი და არა ნამდვილი სულანის.

სულთანის სიტყვებით გახარებული ყარიბი ეხლა წელგამაგრებული იდგა და არაფრისა ეშინოდა.

— სულ უბრალოდ დიდო ხელმწიფევ!-უპასუხა ყარიბმა—როდესაც მე ცხენი გამოვიცანი თქვენ მაშინ ერთი ხელი საჭმელი და ერთი პური დამინიშნეთ. როდესაც ქვა გამოვიცანი, მაშინ კი ორი ხელი საჭმელი და ორიც პური. თქვენ რომ ნამდვილი სულთანის ჩამომავლობა ყოფილიყავით, ასეთი გამოცნობისათვის უეჭველათ ჩინს და დიდ სამსახურს ჩამაბარებდით და არა პურების ულუფას გამიდიდებდითო.

ვ. იმნაძე.

ᲞᲐᲛᲘᲡ ᲘᲚᲘᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ.



ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშები.

ფოთი. ჩვენმა სააგენტომ უმავთულო ტელეგრაფით ცნობა დაიჭირა დიდი კუნძულიდან „უტუგრადს“ მიმავალი: „დიდი ხანია უკვალოთ დაკარგული **დ. გუბელაძე** კუნძულზე იმყოფება და ჩვეულებრივ „მოღვაწეობს“ რისთვისაც გაიგზავნა განსაკუთრებული მოხელე და გამოიკვლია შემდეგი: კუნძულზე ერთ ფარულ ადგილას დ. გუბელაძის თაოსნობით დაარსებულა და მოქმედობს „ემიგრანტთა კლუბი“ [1]) სადაც თავს იყრიან „ემიგრანტები“ დღით საძებნელათ და ღამით „გასართობათ“ და რომელსაც უმთავრესათ კერძო „შემოწირულებით“ ინახავს თურმე ბ-ნი გუბელაძე და დიდ მადლობას უცხადებს ბ.ბ. „შემომწირველებს“ რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ საქმიზა და გადასცეს დ. გუბელაძეს, აი „შემომწირველთა“ სიაც: ნ. ნურაკიძე 5 მ. ა. გალოგრისა ერთი ვერცხლის საათი. „ეკონომიამ“ 2 მ. 40 კ. ს. კილურაძემ 5 მ. დ. ბოკუჩავამ 5 მ. გ. მარგალიტაძემ 5 მ. ლ. ხუბუაშ 5 მ. ნ. არჯევანიძემ 10 მ. ი. ლომთათიძემ 4 მ. 20 კ. ტ. გუნიამ 25 მ. (დამშეულ ქალადიდლების სახელით) ს. ო-ძემ 41 მ. („აზრის“-ს რედაქციის სახელით) აგრეთვე მადლობას უცხადებენ „კლუბის“ წევრები ბ-ნ გუბელაძეს ენერგიულ მოქმედებისათვის.

ბუტუნას სააგენტო.

მაკვანეთი დიდი შეტაკება მოხთა თეკლესა და მესაკურთხეთა შორის. მიზეზი ეკონომიურია. მესაკურთხეებს საკურთხი მონოზვნებისთვის უნდოდათ, თეკლე კი მღვდლისკენ ეზიდებოდა. არჩეული იქნა კომისია, რომელიც გამოარკვევს: ვისი შესაწირავი საკურთხი უფრო არგებს მიცვალებულს — მღვდლისა, თუ მონაზვნების.

იქიდანვე. უკვალოდ დაეკარგა ქირისუფლებსუ: კა—ლი, გ. ბყ.—მე და ი. სკ—ა. ტყვეთ წაყვანილი ეგონათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ე. ქ—თან ბანქოს შეექცეოდენ. სამი დღე ცდილობდენ ისეთი მიზნის მიღწევას, რომ ყველა მოთამაშენი მოგებული ყოფილიყვენ, მაგრამ არ მოხერხდა და დაიშალენ.

დაწუნებული

ჭიათურა. გაიხსნა კლუბი. ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა თავისუფლად ამოისუნთქა. ფარული თამაში სახიფათო იყო და ისედაც დამწუხრებული გული ვეღარაფრით გაერთოთ.

გორდეზი.

უჩხუბი. დაარსდა ორგანიზაცია, რომლის მიზანია ადგილობრივი მღვდლის გადაგდება. ორგანიზაცია ენეგიულად მოქმედობს. ყუბარების მაგივრათ ისვრიან ქვებს, რითაც მღვდელს ჩაუმტვრიეს ფანჯრის შუშები. ბრძოლამ სამ თვეს გასტანა, მაგრამ მღვდლის შტატი (უკაცრავათ შტაბი) უვნებლათ გადარჩა.

ხ. ბზიკაძე.

სუმბათოვო. ინტელიგენცია მეცხრე წელიწადია ეძებს ადგილობრივი „პარკის“ პატრონს და ჯერაც ვერ აღმოაჩინა.

მეოცდაერთე საუკუნის დამლევამდე გადაიდო სუმბათოვოს ბორჯომიდან გამოყოფის საკითხი, ვინაიდან ჩვენი სოფელი მხოლოდ მაშინ იქნება სრულ საუკუნოვანი.

უცნობი.

ტობანიერი. აქ არსებობს „აფთიაქის მტვრეველთა საზოგადოება“. დამფუძნელ წევრთ: პ. ნ—მეს; ი. ლ—ვას და ადგილობრივ სამმართველოს წევრებს ამ ბოლო დროს ცოტა უმოქმედება ეტყობათ. საჭიროა მეტი ენერგია.

კბილის მატლი.

სუფსა. ერთი წევრი ადგილობრივ სანიტართა კომისიისა შემთხვევით დუქნების უკან გასულიყო და სიბინძურეში სული შეჰხუთოდა. მას შემდეგ ჩვენი სანიტარები მხოლოლდ დუქნების წინ ავლჩამოივლიან ხოლმე ორ თვეში ერთხელ. დუქნების უკანა მხარე, ფურნეების ოთახები და სამზარეულოები მათთვის მიუდგომელია, იქ დაგუბებულ სულშემხუთავ გაზების გამო

მავნე.

ველისციხე. ადგილობრივ ქსენონი უკანასკნელ დღეებშია. სიცხე ხან აუწევს, ხან დაუწევს. მდგომდგომარეობა უნუგეშოა. არშაკ ყაზაროვის გარდა მას ჭირისუფლობს ადგილობრივი მეაფთიაქე, რომელმაც ქსენონის ავათმყოფობის დროს მეორე კანტორა დაიდგა ფულებისათვის.

იქიდანვე. ვინაიდან სოფლის მსაჯულებს კანონის უცოდინარობას უსაყვედურებენ, მათ საბოლაოთ გადაუწყვეტიათ აფრიკაში გაემგზავრება და

---

[1]) ეს „ემიგრანტები“ ყველა ერის და ფერის არიან თურმე და ემალებიან მევალეებს, ცოლ-შვილს, ოჯახს და საზოგადოთ პირდაპირ მოვალეობას.

იქაურ ტომებში გამოცდილების შეძენა. ამ კეთილ განზრახვას ეწინააღმდეგება მხოლოდ მარტო მწერალი. ის ამბობს: – კაცებო ეს ოხერი ჩემი სწავლა განვითარება ძლივს გამომიყენებია და კიდევ რო შევიძინოთ ამდენ ჭკუას სადღა დავატევთო.

იქიდანვე. ჯოჯოხეთს ერთი ნიგუზალი აკლდაო იტყვიან და ველისციხესაც ასე დაემართა. სოხუმიდან დაბრუნდა ვაჭარი ,,ეშმაკ გიოთ" წოდებული.

ობობა

სოფლის ფერშალი.

(შარჟი ერთ მოქმედებათ)

ღარიბი გურული გლეხის ბინა. ლოგინზე წევს ავათმყოფი, 18—19 წლის ვაჟი. ავათმყოფის სარეცელს უსხედან მნახველები, რომელთა შორის გამოირჩევიან ახალგაზრდა სტუდენტი და ევროპიულათ ჩაცმული ადგილობრივი პროვიზორი. ფარდის ახდისას ყველა მოლოდინშია: ფერშალი უნდა მოვიდეს. აიხდება თუ არა ფარდა, შემოდის ერთი ჭირისუფალთაგნი.

ერთი ჭირისუფალთაგანი. მოვიდა, მოვიდა. (ისევ კარში გაბრუნდება ფერშლის შემოსაყვანათ).

საერთო მოძრაობაა. ყველას კარებისაკენ უჭირავს თვალი. ავათმყოფს საბანს უსწორებენ.

მეორე ჭირისუფალთაგანი. (ფაცი-ფუცით მიგა მეორე კარებთან და გასძახებს): ფერშალი მობრძანდა, ტაშტი და წყალი შემოიტანეთ... პირსახოცი კიდაე!..

შემოდის ფერშალი, რომელსაც წინ მიუძღვის ერთი ჭირისუფალთაგანი. ფერშალი შუა ხნის კაცია. ეტყობა, თავის გარეგნობას ყურადღებას არ აქცევს. წვერ-ულვაში კაი ხნის გაუკრეჭავი აქვს, წვირიანი გახამებული საყელო აქვს, ბანტიანი ძველი გალსტუკით, რომელიც უკან, კისერზე, ამოვარდნია და საყელოს ასცილებია. ძველი პიჯაკი, უკან ტყავგამოკერებული შარვალი და მაღალ-ყელიანი წაღები. ძველი პალტო აცვია. ხელში მათრახი უჭირავს. შემოსვლისას ყურადღებას არავის აქცევს. პალტოს გაიხდის და მათრახს და პალტოს შემომყოლ ჭირისუფალს აძლევს. შემდეგ სათვალეს გაიკეთებს ცხვირის წვერზე, თვალის ერთი მოვლებით გადახედავს სუყველას და ავათმყოფისკენ წავა. გზაში ხელს ართმევს იქ მყოფებს, ისე კი, რომ არავის უყურებს და არც ჩერდება ხელის ჩამოსართმევათ, უკეთ რომ ვთქვათ, უკანხელგაშვერილი მიდის ავათმყოფისაკენ და მწკრივათ დამსხდარი მნახველები ართმევენ ხელს, ვისაც მისი გაშვერილი ხელი შეხვდება.

ფერშალი. (თავისთვის) ია, ზნაეტე, დავნო საზირალსა, ზნაეტე, ვააბშჩე ზნაეტე... შტო სნიმ... ონ ხადილ, ზნაეტე... ვააბშჩე ბალნიე პუგაიუტსა, ზნაეტე... (ამ სიტყვებს გზაში იტყვის, ხელის ჩამორთმევის დროს. ავათმყოფის ლოგინზე ჩამოჯდება, არც კი შეხედავს ავათმყოფს, ისე ელაპარაკება) ნუ, შტო, ბოლენ? (საბანს გადახდის და ტყირპლს უშინჯავს, მაგრათ უზელავს მუცელს და ჰკითხავს) ბალიტ? ბალიტ?

სტუდენტი. (შეატყობს, რომ ვერ მიხვდა და უთარგმნის) გტკივაო?

ავათმყოფი. დიახ, ბატონო! მტკივა.

ფერშალი. და, ზნაეტე, სელეზინკა, ზნაეტე.. დააა, სელეზინკა, ზნაეტე.., პაკაჟიტე იაზიკ?

სტუდენტი. ენა მიჩვენეო!

ფერშალი. (ავათმყოფი ენას გამოყოფს) ეშჩო!.. ეშჩო! ეშჩო.. და, ზნაეტე, ჟელუდკა, ზნაეტე, ზაპერტა ზნაეტე... (თვალებს გაუფართოვებს ხელით და უცქერის, სისხლნაკლები ხომ არააო) ზამეჩაეტსა მალოკროვიე, ზნაეტე... (უცებ შესწყვეტს შინჯვას, თითქო არც კი დაუწყიაო, ავათმყოფს დაეყრდნობა მარჯვენა ნიდაყვით, ვითომ ჯირკი იყოს და არა ცოცხალი კაცი და სტუდენტს მიაჩერდება სათვალის ზემოდან) ნუ.. კოლდა ვი პრიეხალი?

სტუდენტი. Я ужъ давно здѣсь, почти мѣсяцъ.

ფერშალი. ნუ შტო, დლინნაია დაროგა?.. ზნაეტე, ტრუდნო ი დოროგა... დალენო ბიტ, ზნაეტე...

სტუდენტი. Да дорого, но мы, студенты, ѣздимъ экскурсіей.

ფერშალი. კაკ? ჩერეზ კურსკ? და ზნაეტე, ეტო კაროტკაია დოროგა, ზნაეტე, ჩერეზ კურს, ზნაეტე...

სტუდენტი. Вы меня не поняли... экскурсія—это...

ფერშალი. (მიხვდა რომ სასაცილო მდგომარეობაში ვარდება და ავათმყოფის გაშინჯვას უბრუნდება) ნუ კაკ?.. დახნიტე... ეშჩო... ეშჩო!.. დიხანიტე ხრიპიტ, ზნაეტე... (სტუდენტს) ვი კაკომ კურსე პერეშლი?

სტუდენტი. Я на третъемъ курсѣ.

ფერშალი. პერკუსიუ პრახადილი?.. ნა მერტვეცე, ზნაეტე, ტამ, უნივერსტეტე, ზნაეტე?

სტუდენტი. На трупѣ, да, въ анатомическомъ театрѣ...

ფერშალი. ნეტ, ზნაეტე, ნე ტეატრ, ზნაეტე, უნივერსტეტე, უ ვას უმირაიუტ მერტვეცი... (კიდევ ავათმყოფს მიუბრუნდება თავის დასახსნელათ) ვოტ, პასლედიტე... პერკუსია ზნაეტე... ვოტ ზდეს (უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნებს ავათმყოფს გულზე) გოლოს რაზდაიოტსა, ზნაეტე, ა ჩემ დალშე ვნიზუ, ზნაეტე, გოლოს პრიტუპლაეტსა, ზნაეტე, პასტეპენო პრიტუპლაეტსა, ზნაეტე.. ი ვოტ! (ბარძაყამდე ჩავიდა) სავსემ ნე სლიშნო, პატამუშტო ზდეს ლოხკიხ ნეტ... ზნაეტე... სავსემ ნეტ, ზნაეტე.. (ავათმყოფს) პერევერნიტეს!

სტუდენტი. გადაბრუნდით! (ავათმყოფი გადაბრუნდება, ფერშალი ახლა ზურგს უსინჯავს და იმეორებს იმასვე, რაც გულის გაშინჯვის დროს სთქვა).

ფერშალი. ვოტ! პრიტუპლენიე, ზნაეტე! (გაშინჯვას თავს ანებებს და სტუდენტს უხსნის) პოჩკი, ზნაეტე, ვიხოდიტ იზ სლიზისტოი აბალოჩკი, ზნაეტე... კაპილარნიე ვენი პალოპაიუტსა, ზნაეტე, ი ნაჩინაეტსა კროვოხარკანიე, ზნაეტე... ეტო, დალჟნო ბიტ, ნა მალარიონომ პოჩვე, ილი ნა გემორიტალნომ... და, ზნაეტე... ვსე ში, გურიიცი, სტრადაიემ მალარიეი... (გადახედავს ყელს და ხმამაღლა) ვსე! (ხაზგასმით) ბალნი მალარიეი... ვსე! (უცებ ნაცნობს შენიშნავს) უპ! (ხელს ჩამოართმევს) (სტუდენტს) ტეეპერ, პულსაციუ პასმოტრიმ...(ავათმყოფს მაჯას დაუჭერს, საათს ამოიღებს და სტუდენტს მიუბრუნდება) ნუ, შტო, კაკ უ ვას ვუნივერტეტე? გავარიტ, ვსეხ პრინიმაიუტ...

სტუდენტი Какъ всѣхъ?

ფერშალი. ვსეხ, ზნაეტე... ფელშეროვ...

სტუდენტი. Нѣтъ, этого я не слыхалъ!

ფერშალი. ა კაკ ჟე, ვადაჰკორია, ვედ პაეხალ? უჩიტსა ვ უნივერსტეტე... ია ტოჟე, ზნაეტე, ხაჩუ პაეხატ..

სტუდენტი. Аа, это на частныхъ курсахъ!

ფერშალი. და, ზნაეტე, ჩასტო პასეშჩაიუტ ლექციი...და... გავარიტე ტამ ტრუდნო, ზნაეტე, ხიმია ზნაეტე, „ხაშ დვა“ ი ტაკ დალეე...ზნაეტე... (მაჯას ხელს გაუშვებს) პულსაცია ტოჟე ზამედლენა, ზნაეტე... ი ვააბშჩე ბალნოი ზნაეტე...

სტუდენტი. Каково ваше компетентное мнѣніе?

ფერშალი. (ვერ მიხვდა) კაკ?

სტუდენტი. Ваше компетентное мнѣніе на счетъ больного?

ფერშალი. ნიკაკიხ კამფეტოვ ი ვააბშჩე, ზნაეტე, სლადოსტეი, ზნაეტე, ნე ნადა დავატ, ზნაეტე.. ია ნაპიშუ ლეკარსტვო, ზნაეტე, ი დამ, ზნაეტე...

სტუდენტი. Въ какой дозѣ?

ფერშალი. (ვერ მიხვდა) კაკ?

სტუდენტი. Дозу, я говорю..

ფერშალი. ლოზა! ეტო, ზნაეტე, კაკოე ნიბუდ ნოვოე სრედსტვო, ზნაეტე, შარლატანსტვო!.

(დასასრული იქნება)

მარტყოფის საზოგადოებას.

ამ ცოტა ხანში წავიკითხე გულდამწვარ ლუსკა ქუჟუნელის წერილი (ეშმაკის მათრახი № 9, კვირა 5 ივლისი), სადაც მწუხარებით აღნიშნავდა „იოსება დოხტურის“ დაკარგვას. ამის შესახებ მარტყოფის საზოგადოებას შემდეგს მოვახსენებ: აქეთკენ (ს. გურჯაანიდანა გწერთ, სილნ, მაზრა) დაიარება ერთი კაცი მხარზე პატარა ტოპრაკ გადაკიდებული, რომელშიაც სხვა და სხვა წამლები ულაგია. სახელად ზოგი „ჩალვადარ იოსებას“ ეძახის, ზოგი „სოსიკო ფერშალს“. ეს კაცი მე პირველად ვნახე, მაგრამ ბევრია მისი ხშირად მნახველი. წამლებს ვარია-ქათმებზედ და ღვინოზედა ჰყიდის. ძვირად აფასებს მეტადრე ერთს წამალს: წვრილი, ფეტვის ოდენა, მარცვლებია, თეთრი ფერისა „სკროფოლოზო“-ს ეძახის; მისი სიტყვით, ეს წამალი ყველა ავად-მყოფობასა შველის. სხვათა შორის კაცს სხვა და სხვა ცუდს ხასიათის მხარეს უკარგავსო. ეს წამალი შევიძინეთ სამი მისხალი. დაგვიჯდა სამი ჩაფი ღვინო, რომელიც ჩვენი შემნახველ-გამსესხებელ ბანკის გამგეობას უნდა გადავაყლაპოთ, იქნებ არგოს ამ წამალმა, საქმეს კარგად მოუარონ, ნათლი-მამობა მოიშალონ, ერთმანეთის კინკლაობა და ფულის ჭამა. ჰო, იმას მოგახსენებდით, ამნაირი კაცი დადის აქეთ. თელავიდან მოდიოდა ამ ჟამად, ყველა სოფელი მოვიარეო. თან ურმით ღვინო მოჰქონდა, ოციოდე ქათამიც მოჰყავდა, წამლებში შეეგროვებინა. ორი დღე იქნება აქედან ალაზნის გაღმა წავიდა, გაუგია იმერლოსებში ცოტა ფერშლებიაო. „ჩალვადარ იოსება“ შუა ხნისაა, შუა ტანისა, წვერი ქალარა შერთული აქვს, ასე ერთი ციდის სიგრძისა. თვალით აკლია: წამლებს შინჯვის დროს ცერათ უყურებს. თავზე გახუნებული „კარტუზი“ ჰხურავს, რომელიც ზემოდან რგვლად შავათია გაქონილი ოფლისაგან. ტანზე დაგლეჯილი საზაფხულო პალტო აცვია. ხელში ტარ-მოხრილი ქოლგა უჭირავს. ფეხზედ „პოლსაპოჭკები“ აცვია, რომელშიაც ორ-ორი თითი უჩანს, შარვლის ტოტები ჩაშვებული აქვს.

უკეთუ ამ კაცის ნიშნები გეცნოთ, მიიწერეთ ალაზნის გაღმა ერთ-ერთ სოფელში; ან რა მიწერა უნდა, წამლები შემოჰკლებოდა და მგონი მაინც წამოვა, სავაჭროს დასამზადებლად.

„იოსებას პატიენტი“



ვაჟა-ფშაველა.

ვინც ჩვენ გაზეთებს თვალ-ყურს ადევნებდა დარწმუნებული იქნებოდა, რომ მგოსანი ვაჟა-ფშაველა დღეს თუ არა ხვალ ისევ თავისს საყვარელ მთას დაუბრუნდება და აი ამიტომ, მიუხედავად მისი ავადმყოფობისა მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ.

კვლავ მოსწყდა სამშობლო ცას უდიდესი მნათობი და თითქო საღამოს ბინდი გადაეკრა.

ვაჟა-ფშაველა (ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილი) ჯერ თითქმის შუახნის და ჯან-ღონით სავსე იყო. ის დაიბადა 1861 წელს ღარიბი მღვდელის ოჯახში ფშავეთის სოფელ ჩარგალას. სწავლა სასულიერო სასწავლებელში დაიწყო, საიდანაც მალე გადავიდა გორის საოსტატო სემინარიაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა თავისავე სოფელში. სწავლის სურვილით გატაცებული ვაჟა ჩქარა მოშორდა სოფელს და პეტროგრადში გაემგზავრა. იქ იგი ისმენდა სხვა და სხვა პირთა ლექციებს, მაგრამ ხელმოკლეობამ აიძულა მალე ისევ სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მწერლობა ვაჟამ ადრე დაიწყო. მის ნიჭს მუდმივი და თანდათანი ზრდა განვითარება ეტყობოდა. მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებთა შორის ვფიქრობთ ყველაზე მეტად პოპულიარული „შვლის ნუკრის ნაამბობია“. არა გვგონია იყოს ვინმე წერა-კითხვის მცოდნე, რომ ეს საუცხოვო ნაწარმოები არ წაეკითხოს და მითი არ დამტკბარიყოს.

2 აგვისტოს ქართველმა საზოგადოებამ დიდებულად დაასაფლავა დიდუბის ეკლესიის ეზოში, თავისი სახელოვანი შვილი.

ს. ოქროსქედიდან.

(გურული სტენისებური)

— ნიკოიას გაუმარჯოს ღმერთმა. როვა ადრე ამდგარხარ კაცო და საპრაზნიკოთაც გამოწყობილხარ!.. სამარგელი გაათავე თუ რაფერაა შენი საქმე?...

— ეეჰ, ყბას ნუ მიქცევ თუ ღმერთი გწამს!.. ჩვენი მაცხონებელი არტენაის გადამკიდეს არც სამარგელს აქ ხვავი და არც სათოხავს!.. არ იქნა გაბრიელ, არ მეისვენა მისმა ძირში მისალპობმა ხელებმა... ყოველ დღე ჩხრეკს რაცხა აბდა-უბდას და ხან ამას ასმენს და ხან იმას. რამდენი კაცი დასჩაგრა მაგ ღვთის მტერმა და წაახდინა, მაგას წაახდენს მისი გამჩენი...

— კაცო, იმ ხუცის ამბავი ქვეყანამ იცის, მარა ამ ცის იალონზე შენ სად მიეჩქარები?..

— როვა სად მივეჩქარები... ეი ოჯახაშენებულები, კატამ რომ კუდი გააქანოს—იმასაც გაზეთში დასწერენ და ამ ხუცესმა რომ ქვეყანა დააქცია, ამაზე კაცი ყურს არ აპარტყუნებს... ახლა ვინცხა უნდა მოვნახო და ყოლისფერი დუუწიგნო. არაა დასაწერი თუ?!—მაგი წვერგაწეწილი ხუცესი არ იყო, როგორც ამბობენ გოგიას, ალმასხანას და სოლომონას რომ გადიეკიდა და საშველი არ მისცა, ფშიონობა ქენით, პოლიციას უთხარით ჩვენს სოფელში ხალხი ბუნტობს და ყოველდღე კრებას მართავს და ამიზა თქვენ ჯამაგირს მოგცემენ და ფულიანი კაცები შეიქნებითო... მერე... მერე კიდევრამდენი კაცი გადაასახლებია მაგ ღვთის მტერმა, მაგან... ბარე სამი კაცი როვაც ჩივიან აცანაში მოშორდა მის ცოლ-შვილს მაგის წყალობით და ხუთი კიდო ბახვში თურმე... მაგი არ იყო ბახვის ხუცესს „უმოციქულა“ ეფისკოპოზთან ბარე ოთხი კაცი სხვაც მიაყოლა, რაიო და პარტიის წევრებიაო, ქვეყანას აპუნტებენო... ერთი ახლაც დაკარგულია მის წყალობით და სხვებს რაცხა ქი ეშველა ღმერთით... ხოდა, ახლა თურმე კიდევ იმ საცოდავ, უღვთოთ დატანჯულ სარდიონა ხუცესს ციმბილშიც ალარ აყენებს... ჩივიან, ყოველ დღე უგზავნის დანოსებს, ეგება ვადის შესრულების შემდეგ კიდევ არ გამოუშვან და შტატი არ დამეკარგოსო... ერხანს მასავით წვერგაწეწილ ბარნაბას ედავებოდა ოზურგეთის დიდიხოჯის შემწეობით, მარა მოვსჭამე ჭირი ბახველებს—კუდ ამოძუებული გამუაბუნძულეს უკან. ხოდა, ასე ღვთის პირიდან გადავარდნილი რომაა ეი ჩვენი მოძღვარი-არტენაი—ჰოი, ეშმაკებმა დატენა მისი სული და ხორცი,—არაკაცი გამოჩნდება მადლიანი, ეი მისი ამბავი ასე კაკლა—კაკლაი რომ ეიღოს და გაზეთში ჩამიწეროს!..

— როვა არა, კაცო, შენის არ იყოს ყოლიფერს კი სწერენ იმ გაზეთში და მაი ხომ დღესავით ნათელი ამბავია... მაგის მოწმეთ მეც დაგიდგები თუ კი დაგჭირდება, ჩემო ნიკო!...

ნ. ოქროსქედელი.

გამოცანები.

(ს. რგანი).

დასახელებულ სოფელში
არის ერთი მეტი-ჩარა;
თავი მსხვილი, ენა გრძელი,
მოტიკტიკე წარა-მარა.
კარტი უყვარს „დახურული
ოთუზ-ბირი“ ან, „კონჩინა“,
და თუ ვინმე ეთამაშა,
ცარიელს გაუშვებს შინა.
ჩარჩობაში პირველია,
საწყალ ხალხს გააძრო ტყავი,
„საზოგადო მოლვაწეა“
ღმერთმა მთხოვა მი'ი თავი.
ვინც რომ ამას გამოიცნობს
ვფიცავ გამჩენს, ვფიცავ ზენას,
კვირისათვის გაუგზავნი
კოხტათ შემწვარ ძროხის ენას.

ბოლოკი.

სიზმრად საქიროში

(ნესტორ წერეთლის გარდაცვალების 10 წ. შესრულების გამო. ძღვნად გუბელებს, კუხელებს და სხვ.)

I

ტრახ, ტრახ, ტრახ, ტრახ, ტრახ, არ ვიცი რათა,
ჩვენს დიდს მოლვაწეს არ ჰქონდა ზარი,
და ჩემი ორი ნაკეცი თითით,
იძულებული, შევსძარი კარი!..
კარი გამიღო. „მობრძანდი“, მითხრა,
რაზედ გასჯილხართ, გვიბრძანეთ, გვარი?!

— რა საჭიროა ბატონო გვარი!
ჩვენ განვიზრახეთ, რომ ჩვენი ვალი...
—„რაო, რის ვალი? რა დროს ეგ არის?!
ათი წელია რაცა ვარ მკვდარი
და თქვენს საჩივარს, თქვენივ კანონით,
დაკარგული აქვს, მე მგონი, ხანი.
ან რას მიჩივით, მქონდა ხუთასი
კი მართალია, ვინ გიყოთ ვარი,
მთელი მიდამო, სახლი და კარი
იქ, დაგიტოვეთ, თქვენი არ არი“?!
—ბატონო, თუმცა მე დავალებით
აქ არ მოვსულვარ მოგთხოვოთ ვალი,
მაგრამ, რადგანაც თვითვე ინებე,
ნება მომეცი გითხრა მართალი.
—„ბრძანეთ, ოღონდ ყოველი სწორი,
თორემ მკაცრია აქ სამართალი“!
—რაც თქვენ მოგვშორდი, აი იმ დღიდან,
ჩვენ იმ ვალისა არ ვიცით არრა;
მთელი ქონება უძრავ მოძრავი,
მემკვიდრეებმა მყის ჩაიბარა,
და ხალხი, ხალხი „შენი სიცოცხლე“,
დარჩა იმედის მხოლოდ ამარა!
—„იქნებ არ სთხოვეს“? „ეხლა მოსთხოვეთ“!
—თხოვნით ბატონო კი ვსთხოვეთ მარა,
ვინ შეგვიბრალა, კიდეც დაგვცინეს,
მხოლოდ სახელი შეგვრჩა, „მთხოვარა“.
შემდეგ მოვსთხოვეთ და ამ მოთხოვნას,
თუ დამიჯერებთ, იცი რა უყვეს?
აიღეს „პერო“, გალესეს წვერი,
ხან იქ მოუდვეს, ხან აქ მოუდვეს;
ზოგს, რომელს ენა ამჩნიეს გრძელი,
მყისვე ლაგამი პირში აუდვეს
და ის ხუთასი აწ და მარადის
და უკუნითი ჯიბეს ჩაიდვეს.
—„შერცხვენა მაგათ! ერთი ეს მითხარ,
„კოპერატივი“ რა უყვეს განა?
ხო აყვავილდა, როგორც ველოდით,
ხომ შეიმატა, მიეცა ძალა?
მე ეს მახარებს, ჩემი სიცოცხლე
იმას შევსწირე დავტლეტდი თანა,
მრწამდა, რომ ერთ დროს ჩემს წყლულს, იარას
დააფასებდა მთელი ქვეყანა“.
—„კოპერატივებს“? რა უნდა გითხრა!
წარმოიდგინე თქმაც მეძნელება.
ყველა დაინგრა, გაანადგურა,
ხალხის ულირსთა შვილთა ხელებმა.
—„უი ჩემს თავთა„! და ჩაიკეცა,
მოხუცმა იწყო ქვითინი მწარე
და ამაების თვალით მნახველმა,
ვფიცავარ, მრავლათ ცრემლები ვღვარე.
როს გონს მოვიდა, წყნარის ხმით მითხრა:
—„რა რჯულის-იყო ამის ჩამდენი“?
—რა რჯულის? აი, კვლავ ჩვენებურნი,
ჩვენი რჯულისა, ისევ ქართველნი!
—„მაშ ჩვენებურნი, ისევ ქართველნი?
ოხ დაიწყევლოს მაგათ სახელი“!
„ერთი ეს მითხარ, რამდენი იყვნენ,
ან არ ვინ გაჩნდა ხელის შემშლელი“,
„როდესაც ხალხის ნაწვავ ნადაგი,—
გაანადგურეს „ოჯახი“ მთელი?“!
—ხელის შემშლელი? იქ იმერეთში?
დამცინი განა, შენ-შენსა ღმერთსა?!
ჩვენებურები, ასეთ საქმეში,
შეარცხვენს განა მთელ ჩვენსა ერსა?!
ხელის შემწყობნი კი ბლომათ ჰყავდა,
ყველა შესცქერდა სარგებლის თვალით
და უკაცრავათ არ დარჩენილან,
სახლში დაბრუნდნენ დიდის ნადავლით.
—„ოჰ, ასეთები, ჩემს დროსაც იყო,
მაგრამ დღეს, დღეს ხომ სულ სხვა დროია,
ძველს უმეცრებას რა ადგილი აქვს,
დღეს ხალხი მეტის მოსათხოვია...
მაშ ასე, ჩვენი „კუხის ფარდული“
არ არის არა, დანგრეულია?
ან ჩვენი გუბის „კოპერატივი“,
ჩემი სული და ჩემი გულია,
თან მისი ორი განყოფილება,
ადარ უდგია არც ერთს სულია?!
ან იმის ნაცვლათ რაღაი დარჩა,
რა არის მასზე ალმართულია?.
იქნებ პროგრესმა ის გადალახა,
ხომ იცი, ნიჭი ერთობ რთულია
და მითხარ, აგი თუ აგრე არის,
გულისთვის დიდი სიხარულია“...
—არც კუხის—გუბის—განყოფილებით,
არ არსებობენ. სული დალია;
არც პროგრესს, ნაცვლათ რამ მოუცია,
წინ სვლაი, ისევ შენახულია!!...
ჩვენ მეზობლებმა „კოპერატივი“
ეხლა დაიწყეს მიყვეს ხელია,
თვისი თანხმობით და შეგნებითა,
მუშაობა აქვთ ერთობ ცხელია.
ჩვენ კი ერთ თავათ ყველა დავკარგეთ,
რაც წინ, ათი წლით, შეგვიძენია...

ანდაზა ამბობს: „ულირსი შვილი
მშობელთა თვისთა შემარცხვენია
ფირუზის თვალი, მალაყინწასთვის
უსარგებლოა, არაფელია...
და ჩვენაც აგრე, შენგნით მოძღვნილი
ფირუზის თვალი ვერ შევინახეთ,
შენი სახელი, ფას დაუდები,
ვაგლახ გავსვარეთ და შეგილახეთ.
—„მე არა მიშავს, ისევ ისა ვარ,
მხოლოოთ ეგ არის ჩემგან საწყენი,
რომ შეუგნებლათ დაიარებით?
და მით გამხთარხართ თავისი მტერი.
ეხლა ვიკითხავ ამისთვის მოდი?
სხვა ჩემგნით—გინდა ხომ არაფერი“?
—მართალი გითხრა, მე სხვა საქმე მაქვს
და იმ წარსულში არრასა მოველი!
რაც ჩვენ დაგვშორდი, იმ დღიდგან წელსა
შეგისრულდება თქვენ ათი წელი
და ხალხისაგან—დაფნის გვირგვინი
წამოვიღე და თანვე მოველი.
—„ჩემი ამაგი, იმ ხალხისათვის,
ხომ ინდოეთის „ხურმა ხილია“
და სიქმითა სჩანს არ ნავფასებვარ,
ჩემი ამაგი აღმოფხვრილია?!
მაშ ხალხისაგან დაფნის გვირგვინი,
დღეს არ ეკუთვნის ჩემს მტირალს თვალებს,
წაიღეთ ეგე, იმას უძღვენიო,
თქვენს წამხთარ საქმეს ვინც მოაგვარებს!..
გამომელვიძა, ზე წამოვიჯერ,
„პოლსაპოტკებსა“ უშინჯავ ნალებს,
უნდა ვეძებო, იქნებ ვიპოვო—
ვინც აღასრულებს ამ დანავალებს!!

ს—?

დასავლეთის ასპარეზზე.



ბრძოლა ჰაერში.

ომის ილიუსტრაცია.

ლამის ბრძოლა კარპატის მთებში.



გამხდარი. ომის დაწყებამდე წინდის ჩხირივით იყავი და ნუ თუ მწუხარებამ გაგასუქა.

მსუქანი. ასეა მუდამ. ზოგს მწუხარება ასუქებს, ზოგს მხიარულება.

ხუცების საუბარი.

(ფანჩხუთისაკენ)

ვასილა შეხვდა ილიას;
უთხრა: შენდობა მამაო!
როგორ გყავს „რემლი“ გენაცვა?
როგორ აიღე დრამაო?

ილიამ უთხრა:-ვასილავ
დაგვიდგა ცუდი ხანაო!
ეხლა ხუცობას სჯობია
გააღო ყავახანაო.

საშოვარი ხომ კლებულობს,
სიტყვებიც გვესმის ავია...
შიმშილით ძმაო კისრიდგან
აგერ წამწყდება თავია.

დავტოვე დემოკრატობა
და შავიქენი ნაკურთხი;
ვფიქრობდი: დამირჩებოდა
მუდამ საკმაოთ საკურთხი.

მაგრამ სოფელში ამბობენ:
მკვდარს ჭამა აღარ უნდაო
აბა დამხედე მუცელზე...
ცარიელი მაქვს გუდაო.

ვასილამ შექნა სიცილი
ამ სიტყვის გაგონებაზე
გადუსვა ჩოჩორს ხელები და
მყის შემოახტა გავაზე.

ლეის-პირველი

კორესპოდენტობია.

(სამეცნიერო მიმოხილვა)

კორესპოდენტობიას უწოდებენ ჩვენში მეტად გავრცელებულ ავადმყოფობას. იგი არ ინდობს არც ახალგაზრდას, არც ქალს, არც კაცს. მას ვერ ემალება ვერც ერთი ქართველი ადამიანი.

გამოჩენილ პროფესორთა მიკირტიჩ ულუნწიანცისა და სოლომონ ჭყიპურტანიძის გამოკვლევით ეს ავადმყოფობა არის შემოტანილი საზღვარ გარეთიდან და გავრცელდა ჩვენს პატარა სამშობლოში მას შემდეგ, რაც იწყეს გამოსვლა ჩვენში ჟურნალ-გაზეთებმა.

პირველ ყოვლისა ავათმყოფს აუვარდება ხელის ქავილი. იგი ცდილობს როგორმე დაკმაყოფილოს თვისი ხელები სხვა და სხვა მანიპულიაციით, როგორც არის მაგალითად: ამხანაგის მუშტით დაზელვა, „ბარიშნების“ ჩქმეტა, ხელებით სიარული, ტაშის ცემა და სხ. მაგრამ საბოლოოთ ამით ვერ კმაყოფილდება, ხანგრძლივი ფიქრისა და ცდის შემდეგ იგი იკვლევს, რომ მის ხელებს დაკმაყოფილებს მხოლოდ საწერ-კალამი. ავადმყოფი წამსვე ყიდულობს ბლომად ქაღალდს და იწყებს წერას. პროფესორი მიკირტიჩ ულუნწიანცის გამოკვლევით აქ ამ დროს ავადმყოფს სიცხეს მისცემს და შემდეგ, მთელი ავადმყოფობის განმავლობაში ოცდა თვრამეტ გრადუსამდე სიცხე რჩება. ციებ-ცხელება არ ემჩნევა. მხოლოდ თვალები აუცემცემდება, ხშირად ჩუმად რაღაცას ჩიფჩიფებს და გაფიცხებულ ტუჩებს ენით ილოკავს. ხელების ქავილის გარდა აგრეთვე აუვარდება კბილების ქავილი და ბუნებისაგან დაწესებულ საპშელის გარდა ავადმყოფი ქაღალდის ნახევებსა და საწერ-კალამის თავებს ღრღნის. ეს ყველა საერთო სიმპტომებია. ამის შემდეგ კი ავადმყოფობა ორნაირ ფორმად ისახვის: ერთი მათგანი გიხლავთ „რეცენზენტობია“, მეორე კი ავადმყოფობის საერთო სახელს ატარებს, ესე იგი „კორესპონდენტობია“. ზოგჯერ ორნივე ფორმა ერთად ეყრება ადამიანს.

რეცენზენტობია უფრო ადვილი გადასატანია, ვიდრე კორესპოდენტობია, რადგან ერთად ერთი საგანი, ესე იგი წარმოდგენები, რომლებზედაც ვარჯიშობს ავადმყოფი, ჩვენებური პროვინციის დრამატიული საზოგადოების შემწეობით, იშვიათად ამართება, ან კიდევ სრულებით არა. რეცენზენტობით სნეულდება იგივე სცენის მოყვარე, როდესაც იგი პიესაში მონაწილეობას ათავებს, ეშლება ხელების ქავილი და სწერს...

პირველ ყოვლისა იგი, რასაკვირველია, თვის საკუთარ პერსონას აქებს და ადიდებს.

წერის დროს ავადმყოფთან მიახლოვება საშიშია. მას შეუძლია იმ დროს ადამიანი მოჰკლას, რადგან ეექსტაზშია და ამ ქვეყნის ცოდვა-სამართლის აღარაფერი ესმის. სწერს იგი დიდ-ხანს, შემდეგ აწერს თვის ფსევდონიმს.

ფსევდონიმებს ამნაირად სთხზავენ. მაგალითად: თუ ავათმყოფის სახელი და გვარი ყარამან პამპულაშვილია, იგი აწერს „ყანპარიძე“, ან „ყანპირ“-ს, ან კიდევ „ნამარაყ ილივშალუპმაპ“-ს.

საგრძნობლად ხელს უშლიან მათ განკურნვას ჩვენი რედაქტორები. გაგზავნის თუ არა ავადმყოფი თავის „კალმის ნაეშმაკარს“ რედაქციაში, რამოდენიმე ხნის შემდეგ ისეთ პასუხს შესთავაზებენ „ფოსტის“ საშუალებით, რომ პირიდან დორბლებს აყრევინებენ საწყალ ავადმყოფს.

ჩემის აზრით საჭიროა, მათი ყოველი ნაწერი დაბეჭდილ იქმნას სპეციალურ ორგანოში, რადგან ნაცადია, რომ თუ მათ ლაპარაკში არ შეჰყევით და არ გააღიზიანეთ, იგინი მშვიდად არიან და ხშირად სრულიადაც ინკურნებიან. რეცენზენტობიით ავადმყოფსაც ამგვარივე მოვლა სჭირდა.

—

მეორე ფორმა ავადმყოფობისა, ეგრედ წოდებული კორესპონდენტობია, უფრო რთულია, ვიდრე პირველი.

ამ ჯურის ავადმყოფებისთათვის საჭიროა ქუჩის ტალახი, ღვინის სარდაფები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ნარდ-კარტი გურიაში და, ამ ბოლო დროს, ომი. მოგეხსენებათ, რომ ჩვენში იმ ქალაქს ქალაქსარ უწოდებენ თუ იქ ქუჩებში ტალახის წუმპეები და აგრეთვე სირაჯხანები არ არის. ავადმყოფსაც ეს უნდა! ჩავა ნუნუას გადასაკრავად სარდაფ-სირაჯხანაში, კარგა რიგიანად გაიჭყიპება, შემდეგ ამოვა ქუჩაში და რადგან ქუჩა საკუთარი ბინა ჰგონია და წუმპე კი თვისი ლოგინი, წუმპეში ლაზათიანად ამოიგანგლება.

მეორე დღეს კი იგი თვის უკმაყოფილებას ჰსახავს ქაღალდზე და რედაქციისაკენ ისტუმრებს.

ყველაზე მეტი კი ჩვენ მრავალ ტანჯულ ბიბლიოთეკა სამკითხველოებს ხვდება. მათი ლანძღვისათვის ავადმყოფებს რამოდენიმე სისტემა აქვსთ დაწესებული.

ევროპის ომმა მათ ნაწერებზედაც იმოქმედა, იგინი ხშირად ხმარობენ სხვა და სხვა სამხედრო სიტყვებს, მაგალითად: სტრატეგია, ტაქტიკა, კონტრ-იერიში და სხვა.

კორესპონდენტობით ავადმყოფებს აგრეთვე ჩანერგული აქვთ ჭკვაში, თითქო სამედიატორო სამართალი მარტო მათთვის იყოს გამოგონილი და ამიტომ იგინი წამდა უწუმ მას მიმართავენ. ძალლმა რომ დაულრინოს ავათმყოფს იგი წამსვე ზიზღით მიუბრუნდება ოთხფეხ თავხედს და რიხიანი ხმით შესძახებს:

— გიწვევ სამედიატორო სასამართლოში, რადგან შენი ქცევა ჩემი პიროვნების დამცირებაა... ჩემის მხრივ მედიატორებად ვნიშნავ ყლუნწი ყანწაძეს და ჭყურტი ნუნუაშვილს... ვადას გაძლევ ორ კვირას...

—

ამ რიგად, ბატონებო, საჭიროა ადრევე მივიღოთ შესაშერი ზომები და გამოცდილი ექიმების დახმარებით შევუდგეთ ამ ეპიდემიის აღმოფხვრას, ან შესუსტებას, რადგან იგი გასაოცარი სისწრაფით ედება ჩვენს პატარა სამშობლოს და ბევრ ჯანღონით სავსე ადამიანს ასნეულებს.

გამოკვლეულია, რომ ამ ორი თვის წინედ ოთხმოცდა ცხრამეტ ნახევარი პროცენტი ქართველებისა კორესპონდენტობიით იტანჯებოდა, ასე რომ ას კაცზე ნახევარი კაცი ლა არის ჯან-საღი და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნახევარ კაცსაც მალე იმსხვერპლებს ულმობელი ეპიდემია.

—

დიდი სიფრთხილე ჰმართებს ჯან-საღ ადამიანს. იგი არ უნდა გაეკაროს არც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთს. ბიბლიოთეკაში შესვლისაგან ღმერთმა დაიფაროს!..

აგრედვე იგი მუდამ იმის ცდაში უნდა იყვეს, რომ არ დაუახლოვდეს კორესპონდენტობით ავადმყოფს.

მხოლოდ ამ ზომებით იქნება ის დაზღვეული საზარელ ეპიდემიისაგან.

ვურჩევ ყველას, თავისსავე სასარგებლოდ, რომ დაუყონებლივ მიმართონ ექიმს, თავის მახლობლებზე ავადმყოფობის პირველი სიმპტომების აღმოჩენის შემდეგ, ესე იგი მაშინ, როცა ავადმყოფი დაიწყებს ღრიალს: „ხელი, ხელი მექავება! გამეცალეთ, მიშველეთ, ქაღალდი მომიტანეთ“ — და სხვა. მხოლოდ ექიმის ძოსვლამდის შეიძლება შინაური ზომები იხმაროთ. ავადმყოფი ხეზე მაგრად მიაბით თოკებით და ცივ წყალში დასველებული ტილოებით დაუზილეთ ხელები და კეფა. არ იქნება ცუდი, რომ ფეხებიც დაუზილოთ, რადგან ყოფილა შემთხვევები, რომ ავადმყოფს ფეხების ქავილიც ასტეხია და ფეხებით უწერია კიდეც, ამ უკანასკნელით აიღსნება ის, რომ ხშირად ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ რეცენზიებს და კორესპონდენციებს რაღაც მყრალი, ფეხის ოფლის სუნი ასდის ხოლმე.

—

ერიდეთ, ბატონებო, ერიდეთ კორესპონდენტობით დასნეულებას, რადგან იგი უსაშინელესი ავადმყოფობაა და მისგან სრულებით განკურნება მეტად ძნელია...

ყოფილი პროფესსორი მის აღმატებულების უჯოჯოხეთეს ტარტაროზის სახელობის უნივერსიტეტისა.

გუგული.

ჭიკ-ჭიკას. „ბ-ნო რედაქტორო! **ამთავით** ეს ერთი ლექსი დავწერე და თუ დამიბეჭდავთ, შემდეგ სხვებსაც დავწერ და გამოგიგზავნი“

აი ლექსიც:

„გულში ცრემლი ამიდუღდა
და საშინლათ ვაფრქვევ მეხებს
როდის უნდა ბოლო მოეღოს
ამ ნიაღვრებს ციდან მეხებს...

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით, დაე მკითხველმა გასინჯოს: შეგიძლიათ, თუ არა **„ამ თავით“** ლექსების წერა.

—

ხიდონიას.

„გაიხედავ, დაინახავ
სასწაული ბრეული ხდება...
ჩემი გული დაბრაკული
ნეტავ როის გასაღდება“.

მართლაც რომ სასწაულების ხანაში ვცხოვრობთ. იმედი ვიქონიოთ თქვენი გულის გასაღებისა, მაგრამ თქვენი ლექსების **გასაღების** საქმე ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაშია. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ჟურნალი ვერ იკისრებს მათ გასაღებას.

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ ✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა". რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე